პოსტმენოპაუზაში ტამოქსიფენი იცავს ძვალს გამოფიტვისგან, მაშინ როცა პრემენოპაუზაში ტამოქსიფენი იწვევს ძვლის მინერალური სიმკვრივის დაქვეითებას. ანასტროზოლი (არომატაზას ინჰიბიტორი) რომელიც პოსტმენოპაუზაში მყოფ პაციენტებში დამტკიცებულია როგორც ადრეული სტადიის კიბოს (ესტროგენ რეცეპტორ პოზიტიური კიბოს) მკურნალობის მეთოდი, 5 ან ნაკლები წლის განმ-ში მკურნალობის დროს ზრდის მოტეხილობების რისკს ვიდრე ტამოქსიფენით მკურნალობა.

ქიმიოთერაპია. კლინიკამდელმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ციკლოფოსფამიდი, დოქსორუბიცინი და მეტოტრექსატი ნეგატიურ გავლენას ახდენს ძვლოვან მატრიქსზე (ქსოვილზე). პრემენოპაუზაში მყოფ ქალებში მსგავსი ტიპის ქიმიოთერაპია იწვევს საკვერცხეების დისფუნქციას და ძვლოვანი ქსოვილის შემცირებას. ქიმიოთერაპიაზე მყოფ ქალების დაახლოებით 70 %-ს უვითარდებათ ამენორეა და ნაადრევი მენოპაუზა. ნაადრევი მენოპაუზა თავის მხრივ ზრდის ოსტეოპოროზის და მოტეხილობის განვითარების რისკს.


ქიმიოთერაპია არა მხოლოდ პრემენოპაუზალურ ქალებში აზიანებს ძვლოვან ქსოვილს, არამედ პოსტმენოპაუზაშიც. პროსპექტიულმა კვლევებმა აჩვენა რომ პოსტმენოპაუზაში მყოფ ქალებში ქიმიოთერაპიის შემდგომ ყოველწლიურად ძვლოვანი ქსოვილის დანაკარგი 10 % -ს შეადგენს.

ჰორმონალური (ენდოკრინული თერაპია) პოსტმენოპაუზაში გამოქსიფენს ძვალზე დადებითი ეფექტი გააჩნია. 1990 წლებში ჩატარებული კვლევებით გამოქსიფენის ჯგუფში მყოფ პაციენტებში აღინიშნა ძვლის მინერალური სიმკვირის მომატება ბარდაყის ყელსა და ხერხემალში ყოველწლიურად 0.5-1.0 %-ით, ხოლო პლაცებო ჯგუფში ძმს-ს დაქვეითება. პრემენოპაუზაში, გამოქსიფენს შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა ძვალზე, რაც კვლევებითაც დადასტურდა (აღინიშნა ძმს-ს დაქვეითება) (124,125).

არომატაზას ინჰიბიტორები: ორივე ტიპის სტეროიდული (ექსემასტინი) და არასტეროიდული (დეტროზოლი, ანასტროზოლი) არომატაზას ინჰიბიტორები ნეგატიურ გავლენას ახდენს ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე და ზრდიან მოტეხილობის რისკს (126,127).

1.9 სარძევე ჯირკვლის აგებულება და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პორმონები

სარძევე ჯირკვლი წარმოადგენს წყვილ ორგანოს, რომელსაც მილაკოვან-ალვეოლური აგებულება აქვს. იგი შედგება ერთმანეთთან ფილოგენეტიკურად და ანატომო-ფიზიოლოგიურად მჭიდროდ დაკავშირებული ორი კომპონენტის – პარენქიმისა და სტრომისაგან. პარენქიმა წარმოადგენს ჯირკვლოვან ქსოვილს, რომელშიც განთავსებულია სხვადასხვა დიამეტრის სადინარები (სურ 2). სტრომა შემაერთებული ქსოვილია, რომელიც ჯირკვალს ყოფს წილებად და წილაკებად. სტრომა და პარენქიმა ცხიმოვანი ქსოვილით არის გარემოცული. სარძევე ჯირკვლის უკანა ზედაპირს ფარავს ფასციის ფირფიტა. ამ ფირფიტასა და მკერდის დიდ კუნთს შორის არსებული სივრცე ამოვსებულია ფაშარი უჯრედული მასით, რომელიც განაპირობებს სარძევე ჯირკვლის ძვრადობას (128).



სურ. 2. სარძევე ჯირკვლის აგებულება

ცნობილია, რომ სარძევე ჯირკვლის ჩანასახი ფორმირებას იწყებს ემბრიონალური განვითარების მე-10 კვირიდან. პოსტემბრიონული განვითარების პირველი 3-5 დღის განმავლობაში სარძევე ჯირკვალს უმნიშვნელოდ იზრდება დედისგან მიღებული პლაცენტარული ჰორმონების გავლენით. სქესობრივ მომწიფებამდე სარძევე ჯირკვალს იმყოფება ფუნქციურად მოსვენებულ მდგომარეობაში (129). სქესობრივი მომწიფების პერიოდში 12-16 წლის ასაკში იწყება სარძევე ჯირკვლის ინტენსიური განვითარება. ამ პერიოდში აღინიშნება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქისა და სასქესო ჯირკვლების ფუნქციური აქტივობის ზრდაც. ჯირკვალში ადგილი აქვს ცხიმის ჩალაგებას, შეიმჩნევა სარძევე ჯირკვლის სადინარების დაგრძელება, მათ დაბოლოებებზე კი წარმოიქმნება აცინოზური გაფართოებები. ეს უკანასკნელი ჯირკვლის წილაკების ჩანასახს წარმოადგენენ (131-134).

ცნობილია, რომ სარძევე ჯირკვლის ზრდის და განვითარების პროცესში ადგილი აქვს 4 ტიპის წილაკის ჩამოყალიბებას :

- პირველი ტიპის წილაკები ხასიათდებიან ნაკლები დიფერენცირებით და წარმოადგენენ სარძევე ჯირკვალს მენარქემდე.
- მეორე ტიპის წილაკებში წარმოდგენილია უფრო კომპლექსური მორფოლოგიური სურათი, გაზრდილია სადინარების რიცხვი თითოეულ წილაკზე.
- მესამე ტიპის წილაკებში სადინარების რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილია. აღნიშნული წილაკები ჰორმონალურ სტიმულაციას ორსულობის პერიოდში განიცდიან.
- მეოთხე ტიპის წილაკების განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ლაქტაციასთან.

ცნობილია, რომ ცალკეული წილაკი გარშემოტყმულია მკრივი შემაერთებელქსოვილოვანი ფენით, შიგნიდან კი ამოვსებულია ფაშარი შემაერთებელი ქსოვილით, რომელიც მდიდარია ლიმფოციტებით, პლაზმური უჯრედებით და ახალგაზრდა ფიბრობლასტებით.

პრე- და პოსტმენოპაუზურ პერიოდში აღგილი აქვს სარძევე ჯირკვლის რეგრესულ ცვლილებებს (წილაკების, ასევე წვრილი და საშუალო ზომის სადინარების ატროფია, გაქრობა და მათი ჩანაცვლება ფიბროზული და ცხიმოვანი ქსოვილით) .

ცნობილია, რომ რეპროდუქციულ პერიოდში სარძევე ჯირკვლის ზრდასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი ჰორმონალურ რეგულაციას ექვემდებარება (130). ქსოვილოვანი ჰომეოსტაზი კი განპირობებულია პროლიფერაციას, დიფერენცირებასა და აპოპტოზს შორის არსებული წონასწორობით .

სარძევე ჯირკვლის განვითარებაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ უმთავრესად სასქესო გონადებში სინთეზირებული სტეროიდული ჰორმონები:

ესტროგენები – ესტრონი და ესტრადიოლი, ასევე პროგესტერონი. სარძევე ჯირკვლის განვითარებაზე პუბერტატული (სქესობრივი მომწიფების) პერიოდის პირველ ფაზაში (10-13წელი), მენარქემდე (მენსტრუაციული ციკლის დაწყებამდე) ძირითადად ესტროგენების ზეგავლენა აღინიშნება. მეორე ფაზაში (სქესობრივი მომწიფების პერიოდში, 13-15წ) ესტროგენები და პროგესტერონი კომპლექსურად მოქმედებენ.

ცნობილია, რომ ესტროგენები პასუხს აგებენ სარძევე ჯირკვლის სადინარებისა და შემაერთებელი ქსოვილის განვითარებაზე (ესტრადიოლი სტიმულაციას უწევს ჯირკვლის სადინარების ეპითელიუმის პროლიფერაციას, დიფერენცირებასა და განვითარებას, აძლიერებს ეპითელიუმის მიტოზურ აქტივობას, ინდუცირებს აცინუსის ფორმირებას, აგრეთვე ასტიმულირებს ვასკულარიზაციას და ზრდის შემაერთებელი ქსოვილის ჰიდრატაციას) ხოლო პროგესტერონი ჯირკვლოვანი ქსოვილის ზრდასა და განვითარებაზე. პროგესტერონი სადინარების ეპითელიუმში თრგუნავს პროლიფერაციას და იწვევს დიფერენცირებას წილაკებად და აღვეოლებად, აფერხებს სარძევე ჯირკვლის სადინარების ეპითელიუმის მიტოზურ აქტივობას, ხელს უშლის ესტროგენებით განპირობებულ კაპილარების განვლადობის ზრდას .

სარძევე ჯირკვლის განვითარება ასევე დამოკიდებულია მთელი რიგი ჰორმონების (გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონი, მალუთეინიზირებელი ჰორმონი, ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი, პროლაქტინი, სომატოტროპინი, ინსულინი, ზრდის ფაქტორები, კორტიზოლი, ალდოსტერონი, თიროქსინი და ტრიოდთირონინი) კოორდინირებულ მოქმედებაზეც (135-137) .

აუცილებელია აღინიშნოს, რომ პუბერტატის დაწყება უშუალოდ დაკავშირებულია ჰიპოთალამუსთან. ჰიპოთალამუსში სინთეზირებული გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონის იმპულსური გამოყოფა არეგულირებს ადენოჰიპოფიზის მიერ გონადოტროპინების (მალუთეინიზირებელი ჰორმონი და ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი) გამოყოფის პროცესს .

გონადოტროპინები უშუალოდ ზემოქმედებენ საკვერცხეების მიერ სტეროიდული ჰორმონების სინთეზის პროცესზე. საკუთრივ სტეროიდული ჰორმონების შემცველობა კი უკუკავშირის პრინციპით ახორციელებს ზემოქმედებას სისტემაზე ჰიპოთალამუსი-ჰიპოფიზი .

ცნობილია, რომ ადენოჰიპოფიზში ხორციელდება აგრეთვე სომატოტროპინისა და პროლაქტინის სინთეზიც. სომატოტროპინის ძირითად ფუნქციას ზრდის სტიმულაცია წარმოადგენს. აღნიშნულ სტიმულაციას სომატოტროპინი ახორციელებს ინსულინისმსგავს ფაქტორ I-თან (IGF-I) და II-თან (IGF-II) (სომატომედინები) კომბინაციაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰეპატოციტებში IGF-I და IGF-II-ის სეკრეციის სტიმულატორს საკუთრივ სომატოტროპინი წარმოადგენს.

აღნიშნული ჰორმონების მოქმედება მორფო-გენეტიკური და ანაბოლური პროცესების გაძლიერებაში მდგომარეობს და გამოიხატება ნუკლეინის მჟავების სინთეზში და უჯრედების დაყოფაში. ცნობილია, რომ სომატოტროპინი აგრეთვე განაპირობებს ადენოჰიპოფიზის კიდევ ერთი ჰორმონის – პროლაქტინის სინთეზის სტიმულაციას .

პროლაქტინის ძირითადი ფუნქცია ლაქტოციტებით რძის სეკრეციის სტიმულაციაა. პროლაქტინით წარმართება ესტროგენული რეცეპტორების რიცხვის მატებაც. ასევე ცნობილია, რომ პროგესტერონთან ერთად პროლაქტინი ააქტივებს ეპითელური

უჯრედების ზრდას . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ ესტროგენებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პროლაქტინის სინთეზზე, როგორც ჰიპოთალამუსზე ზემოქმედებით, ასევე უშუალო გავლენითაც . ცნობილია ისიც, რომ ესტროგენები სარძევე ჯირკვლის ქსოვილზე ასევე ზრდის ფაქტორების საშუალებით მოქმედებენ (EGF, TGF, IGF-I, IGF-II) და იწვევენ უჯრედების ტრანსფორმაციას . როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სტეროიდული ჰორმონების ბიოსინთეზი ძირითადად სასქესო გონადებში მიმდინარეობს (ესტროგენები, ანდროგენები, პროგესტერონი) თუმცა მათი სინთეზი თირკმელზედა ჯირკვლის ქერქშიც წარიმართება . სარძევე ჯირკვლის ქსოვილზე აღინიშნება ასევე თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში სინთეზირებული სხვა კორტიკოსტეროიდების (ალდოსტერონი და კორტიზოლი) ზემოქმედებაც, თუმცა მათი როლი შედარებით უმნიშვნელოა . ცნობილია, რომ კორტიზოლი გავლენას ახდენს სარძევე ჯირკვლის ქსოვილში პროლაქტინის რეცეპტორების განვითარებაზე და პროლაქტინთან ერთად ხელს უწყობს ეპითელური უჯრედების ზრდას .

ასევე ცნობილია, რომ ინსულინი კორტიკოსტეროიდებთან ერთად ხელს უწყობს ჯირკვლოვანი ქსოვილის ზრდას, მაშინ, როდესაც ინსულინი, თირეოიდული ჰორმონი, გლუკოკორტიკოიდები და მინერალოკორტიკოიდები ერთობლივად მოქმედებენ ჯირკვლოვანი უჯრედების მეტაბოლიზმზე და ნივთიერებათა ცვლის საერთო პროცესებზე .

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები (თიროქსინი და ტრიოდთირონინი) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სარძევე ჯირკვლის ეპითელური უჯრედების მორფოგენეზში და ფუნქციურ დიფერენცირებაში. მათი ზემოქმედება სარძევე ჯირკვლის ქსოვილზე ხორციელდება როგორც უშუალოდ, ასევე მთელი რიგი შუალედური ჰორმონების მოქმედებით, მათ შორის პროლაქტინის (138-141) .

ამგვარად სარძევე ჯირკვლის სრულყოფილი დიფერენცირებისა და ფუნქციონირებისათვის სასქესო გონადებთან ერთად აუცილებელია ჰიპოთალამუსის, ადენოჰიპოფიზის, ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ღვიძლის ჰორმონების ერთობლივი მოქმედება.

როგორც ცნობილია სტეროიდული ჰორმონები ქოლესტეროლის წარმოებულებს წარმოადგენენ . სტეროიდული ჰორმონები, ისევე როგორც ქოლესტეროლი შეიცავენ ციკლოპენტანპერჰიდრო-ფენანტრენის ბირთვს განსხვავებული გვერდითი ჯაჭვებით და ჯგუფებით, რომლებიც ამ უკანასკნელებს სპეციფიურობას ანიჭებენ. ცნობილია ისიც, რომ ქოლესტეროლი ენდოკრინულ უჯრედებში სინთეზირდება აცეტატისაგან ან გადადის სისხლიდან, ლიპოპროტეინების შემადგენლობაში (უპირატესად) . ამგვარად, მოხვედრა რა/ან სინთეზირდება ქოლესტეროლი ენდოკრინულ უჯრედებში (საკვერცხეების ტეკა ქსოვილში) , პირველ ეტაპზევე ადგილი აქვს ქოლესტეროლისაგან პრეგნენოლონის წარმოქმნას, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება პროგესტერონად (პირობითად I გზა).

სინთეზირებული პროგესტერონი სრულყოფილ ჰორმონს წარმოადგენს, რომელსაც სარძევე ჯირკვალზე დამოუკიდებლად ზემოქმედების უნარი გააჩნია (142).

გარდა ამისა პროგესტერონისაგან მიიღება ანდროგენები – ანდროსტენდიონი, რომელიც შესაძლოა გარდაიქმნას ტესტოსტერონად. რაც შეეხება პირობითად II გზას, აღნიშნულ შემთხვევაში პრეგნენოლონიდან მიიღება დეჰიდროეპიანდროსტერონი, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება ტესტოსტერონად.

რაც შეეხება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში გამომუშავებულ სტეროიდულ ჰორმონებს, აღნიშნულ ჯირკვალში ადგილი აქვს როგორც სასქესო სტეროიდული ჰორმონების (პროგესტერონი, ესტროგენები, ანდროგენები) სინთეზს, ასევე კორტიკოსტეროიდების წარმოქმნასაც (კორტიზოლი, ალდოსტერონი) . ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ანდროგენების ესტროგენებად გარდაქმნა ცხიმოვან ქსოვილშიც მიმდინარეობს. ეს უკანასკნელი კი თირკმელზედა ჯირკვლის ქერქთან ერთად წარმოადგენს ქალებისთვის ესტროგენების ძირითად წყაროს პოსტმენოპაუზურ პერიოდში.

ამრიგად სარძევე ჯირკვლის სრულყოფილი დიფერენცირება და ფუნქციონირება ძირითადად ჰორმონალური ზემოქმედებითაა განპირობებული, ხოლო ჰორმონალური დისბალანსი შესაძლოა სარძევე ჯირკვლის პათოლოგიების განვითარების მიზეზი გახდეს.

1.10 სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების კლასიფიკაცია

სარძევე ჯირკვლის სიმსივნური ტრანსფორმაციები მოიცავს როგორც კეთილთვისებიან, ასევე ავთვისებიან სიმსივნეებს (143,144).

მასტოპათია წარმოადგენს პორმონალური დისბალანსით განპირობებულ კეთილთვისებიან ჰიპერპლაზიურ პროცესს სარძევე ჯირკვალში. მისთვის დამახასიათებელია ეპითელიური და შემაერთებელქსოვილოვანი კომპონენტების თანაფარდობის ცვლილება. ცნობილია კეთილთვისებიანი სიმსივნეების ანუ მასტოპათიების შემდეგი კლასიფიკაცია.

- ფიბროზო-კისტოზური მასტოპათიის დიფუზური ფორმა :
 - დიფუზური მასტოპათია კისტოზური კომპონენტების სიჭარბით, რომელიც ხასიათდება ელასტიური კონსისტენციის მრავალრიცხოვანი კისტოზური წარმონაქმნებით.
 - დიფუზური მასტოპათია ფიბროზული კომპონენტების სიჭარბით, რომელიც ხასიათდება წილაკთშორისი შემაერთებელი ქსოვილისა და სადინარებშიდა ქსოვილის პროლიფერაციის ზრდით, რაც ჯირკვლის სანათურის შევიწროებას და სრულ ობლიტერაციას იწვევს. აღნიშნული სახის მასტოპათია ხშირად ვითარდება ჰიპერანდროგენიის დროს.
 - დიფუზური მასტოპათია ჯირკვლოვანი კომპონენტების სიჭარბით, ანუ ადენოზი, რომელიც ხასიათდება ჯირკვლის წილაკების მაღალდიფერენცირებული ჰიპერპლაზიით. აღნიშნული სახის მასტოპათიებს იწვევს ანდროგენების მატებისა და საშვილოსნოს ტანის ჰიპერპლაზიების ერთობლივი თანაარსებობა.
 - დიფუზური მასტოპათიის შერეული ფორმა, ხასიათდება წილაკების ჰიპერპლაზიით, შიდაწილაკური და წილაკთშორისი შემაერთებელი ქსოვილის სკლეროზით, სადინარების გაფართოებითა და ალვეოლების კისტოზურ წარმონაქმნებში გარდაქმნით.

- ფიბროზო-კისტოზური მასტოპათიის კვანძოვანი ფორმა (ფიბროადენომა)


ხასიათდება სხვა მასტოპათიების შემთხვევებში აღწერილი ცვლილებებით. იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ ცვლილებებს ლოკალური ხასიათი აქვთ. წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე კვანძის სახით.

ცნობილია, რომ გლუკოკორტიკოიდების გაძლიერებული გამოყოფის ფონზე ადგილი აქვს მასტოპათიის თირკმელზედა ჯირკვლოვან ფორმას. აღნიშნული დაავადება ხასიათდება გლუკოკორტიკოიდების სიჭარბით, რაც იწვევს ჰიპერგლიკემიას, ჰიპერლიპიდემიასა და არტერიულ ჰიპერტენზიას, მასტოპათიის აღნიშნული ფორმისათვის დამახასიათებელია სიმსუქნე, დიაბეტი, ათეროსკლეროზი და ჰიპერტონული დაავადებები .

რაც შეეხება სარძევე ჯირკვლის ავთვისებიან სიმსივნეს – კიბოს, კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით გამოყოფენ 4 სტადიას (სურ3) .

- პირველი სტადია – სარძევე ჯირკვალში ისინჯება 0.8-2 სმ დიამეტრის პატარა მკვრივი უმტკივნეულო კვანძი, მისი საზღვრები მკაფიოდ არ აღინიშნება, სიმსივნე ოდნავ ხორკლიანი და მოძრავია .
- მეორე სტადია – სიმსივნე შედარებით დიდი ზომისაა (2-5 სმ დიამეტრში). კანთან ან კანქვეშა ქსოვილთან შეზრდილია, თუმცა რეგიონალური მეტასტაზები არ ისინჯება; მეორე სტადიაზე დასაშვებია აგრეთვე მეტასტაზები რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში.
- მესამე სტადია – სიმსივნე 5 სმ-ზე მეტი ზომისაა, კანთან შეზრდილია, მფარავი კანი დაწყლულებულია, არ ისინჯება რეგიონალური მეტასტაზები. იგივე სტადიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მეტასტაზები ილღის, ლავიწქვეშა და ლავიწზედა ლიმფურ კვანძებში (III ბ სტადია).
- მეოთხე სტადია – სიმსივნეს თითქმის მთელი სარძევე ჯირკვალი უკავია. სიმსივნის არეში აღინიშნება წყლული გამონადენით. გულმკერდის წინა ზედაპირზე მრავლობითი კანკვეშა კვანძებია განვითარებული. სიმსივნე

უმოძრაოდ არის ფიქსირებული გულმკერდზე. აღინიშნება გადიდებული, მკვრივი და უმოძრაო ლიმფური კვანძები.



სურ. 3. სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის სტადიები

ცნობილია სარძევე ჯირკვლის სიმსივნის პრე- და პოსტმენოპაუზური ფორმები.

დაავადების პრემენოპაუზური (ოვარიული) და პოსტმენოპაუზური (თირკმელზედა ან ჰიპოთალამური) ვარიანტები გამოირჩევიან არა მხოლოდ მთელი რიგი კლინიკური მახვენებლებით, არამედ ჰორმონალურ-მეტაბოლური დარღვევების ფართო სპექტრით.

1.11 სარძევე ჯირკვლის კიბოს გავრცელება

სარძევე ჯირკვლის კიბო ყველაზე ხშირად საშუალო და ხანდაზმული ასაკი ქალებში არის გავრცელებული და სხვა სიმსივნეებთან შედარებით სარძევე ჯირკვლის კიბო საკმაოდ გავრცელებულ დაავადებად ითვლება (145,146).

2009-2013 წლების მონაცემებით მთელს მსოფლიოში:

- ქალებში ძუძუ კიბოს ახალი შემთხვევები 100.000 ქალიდან 125-ში დაფიქსირდა.
- სიკვდილიანობის მაჩვენებელი (რიცხვი) 100.000 ქალიდან 21.5-ში.

კიბოს განვითარების რისკი: 2010-2012 წლების მონაცემებით ქალების დაახლოებით 12.3 პროცენტში იყო დიაგნოსტირებული სარძევე ჯირკვლის კიბო მათი სიცოცხლის განმავლობაში (147,148).

მსოფლიოში:

- 2012 წელს სარძევე ჯირკვლის კიბოს დაახლოებით 1,7 მილიონი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.
- 2012 წელს წარმოადგენდა ყველა სახის ახალი სიმსივნეების 12 %-ს და 25 %-ქალებში ყველა სახის სიმსივნეებში.
- 184 ქვეყნიდან 140 ქვეყანაში სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში ყველაზე ხშირად დიაგნოსტირებულ კიბოს წარმოადგენს.

ავტორის სტილი დაცულია

- მთელს მსოფლიოში ყველა სახის სიმსივნეებში ქალებში 4 დან 1 არის სარძევე ჯირკვლის კიბო
- 2008 წლიდან სარძევე ჯირკვლის კიბოს სიხშირე გაიზარდა 20 პროცენტით, სიკვდილიანობა 14 %-ით

კიბოს მსოფლიო კვლევის საერთაშორისო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით

მე-7 ცხრილში მოცემულია 20 ქვეყანა სადაც 20012 წელს დაფიქსირდა სარძევე ჯირკვლის კიბოს ყველაზე მაღალი სიხშირე

ცხრილი 7.

	ქვეყანა	ასაკით სტანდარტიზებული სიხშირე 100.00 მოსახლეზე (მსოფლიოში)
1	ბელგია	111.9
2	დანია	105
3	საფრანგეთი	104.5
4	ნიდერლანდები	99
5	ბაჰამა	98.9
6	ისლანდია	96.3
7	გაერთიანებული სამეფო	95
8	ბარბადოსი	94.7
9	ამერიკის შეერთებული შტატები	92.9
10	ირლანდია	92.3
11	საფრანგეთის პოლინეზია	92.2
12	გერმანია	91.6
13	იტალია	91.3
14	ფინეთი	89.4
15	ლუქსემბურგი	89.1
16	ახალი კალედონია	87.6
17	ავსტრალია	86
18	მალტა	85.9
19	ახალი ზელანდია	85
20	შვეიცარია	83.1


ავტორის სტილი დაცულია

სარძევე ჯირკვლის კიბოს პრევალენტობა აშშ-ში 2013 წელს დაახლოებით 3,053,450 -ს მიაღწია.

აშშ-ში კანის კიბოს შემდეგ სარძევე ჯირკვლის კიბო ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადებაა. ხოლო ფილტვის კიბოს შემდგომ სარძევე ჯირკვლის სიკვდილიანობის მაჩვენებელი მეორე ადგილზეა (149-151).

დიაგრამა 1 - ზე მოცემულია 2017 წელს სარძევე ჯირკვლის სიმსივნის მოსალოდნელი შედეგები, 1992-2014 წლებში ახალი შემთხვევების და სიკვდილიანობის გრაფიკი, აგრეთვე 2007-2013 წელს 5 წლიანი პროცენტული გადარჩენის მაჩვენებლები.

დიაგრამა. 1.



მოსალოდნელია რომ 2018 წელს მსოფლიოში დაფიქსირდება:

- 246,660 ინვაზიური სარძევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევა
- 61,000 არაინვაზიური კარცინომა ინ სიტუ
- სარძევე ჯირკვლის სიკვდილიანობა ქალებში შეადგენს 40,450

1.12 სარძევე ჯირკვლის კიბოს გამომწვევი რისკ-ფაქტორები

რისკ ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად:

1) მოდიფიცირებადი რისკ ფაქტორები

და

2) არამოდიფიცირებადი რისკ ფაქტორები

მდედრობითი სქესი: სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარებაში უდიდეს რისკ ფაქტორს წარმოადგენს მდედრობითი სქესი.

ასაკი: ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკი. სარძევე ჯირკვლის ინვაზიური კიბოს 3 -დან 2 შემთხვევა აღმოჩენილია 55 წლის და მეტი ასაკის ქალებში (152,153).

ოჯახური ანამნეზი: დაავადების განვითარების მაღალი რისკი აქვთ ქალებს, რომელთა ახლო ნათესავებს დიაგნოსტირებული ჰქონდათ სარძევე ჯირკვლის კიბო. რისკი ორმაგდება თუ პირველი ხაზის ნათესავი (და, დედა, ქალიშვილი) დიაგნოსტირებული ზემოთაღნიშნული დაავადებით.

გენეტიკა (მემკვიდრეობა): სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევების დაახლოებით 5 დან 10%-მდე ითვლება მემკვიდრეობითად, გამოწვეული ანომალური გენის გადაცემით მშობლიდან შვილზე (154).

სარძევე ჯირკვლის კიბოს პირადი ანამნეზი: წარსულში სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოსტირების შემთხვევაში, ჯირკვლის სხვა ადგილას ან მეორე სარძევე ჯირკვალში კიბოს განვითარების რისკი იმატებს 3 - 4 -ჯერ.

გულმკერდის ან სახის რადიაცია 30 წლამდე: რადიაციული (სხივური) თერაპიის ჩატარების შემთხვევაში სხვა სიმსივნის გამო, როგორცაა ჰოჯკინის დაავადება, ან არა ჰოჯკინის ლიმფომა, სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების დიდი რისკი არსებობს. მოზარდობის პერიოდში აკნეს გამო რადიაციული მკურნალობის ჩატარების შემთხვევშიც მაღალია რისკი მოგვიანებით სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების.

დიაგნოსტირებული სარძევე ჯირკვლის გარკვეული კეთილთვისებიანი მდგომარეობებისას (სადინროვანი ჰიპეპლაზია-ატიპიის გარეშე; კომპლექსური ფიბროადენომა, პაპილომა ან პაპილომატოზი.), სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკი აგრეთვე მაღალია.

რასა/ეთნიკურობა: ზოგადად თეთრკანიან ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების შანსი უფრო მეტია ვიდრე აფრო-ამერიკელებში, ესპანელ და აზიელ ქალებში. თუმცა ახალგაზრდა ასაკში დიაგნოსტირებული სარძევე ჯირკვლის კიბო აფრო ამერიკელებში უფრო მეტად აგრესიულად მიმდინარეობას

ჭარბი წონა: ჭარბი წონა და სიმსუქნე წარმოადგენს მაღალ რისკ ფაქტორს სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების, ნორმალური წონის ქალებთან შედარებით, განსაკუთრებით მენოპაუზის შემდგომ. ჭარბი წონა შესაძლებელია გახდეს რეციდივის განვითარების მიზეზი ქალებში რომელთაც ანამნეზში ჰქონდათ ზემოთაღნიშნული დაავადება (155-158).

ორსულობა: კიბოს განვითარების რისკი იზრდება ქალებში, რომელთაც ჰქონდათ არასრული ორსულობა ან პირველი მშობიარობა 30 წლის შემდგომ, იმ ქალებთან შედარებით რომლებმაც იმშობიარეს 30 წლამდე.

ლაქტაცია: ძუძუთი კვება (ლაქტაცია) ამცირებს სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკს, განსაკუთრებით თუ ლაქტაცია 1 წელზე მეტი მიმდინარეობს.

მენსტრუალური ციკლი: ქალები, რომელთაც მენარხე ჰქონდათ 12 წელზე ადრეულ ასაკში და მენოპაუზა 55 წლის ასაკის ზევით იმყოფებიან სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკის ქვეშ.

ჩანაცვლებითი ჰორმონალური თერაპიის (ჩჰთ) გამოყენება: წარსულში ან მიმდინარე ჩანაცვლებითი ჰორმონალური თერაპიის გამოყენება ზრდის სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკს. 2002 წლიდან, როდესაც გამოკვლევებით დადასტურდა ჩჰთ-ის კავშირი ს/ჯ-ის კიბოს განვითარებასთან, მკვეთრად შემცირდა ჩანაცვლებითი ჰორმონალური თერაპიის გამოყენება ქალებში (159-162).

ალკოჰოლის მოხმარება: გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ალკოჰოლური სასმელები-ლუდი, ღვინო და სპირტიანი სასმელები იწვევს ესტროგენ რეცეპტორ პოზიტიური სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკის მატებას (163).

მკვრივი მკერდი: მკვრივი მკერდის არსებობა 6-ჯერ უფრო მეტად ზრდის ს/ჯ-ის კიბოს განვითარებას და მამოლოგებისთვის ართულებს კიბოს დიაგნოსტიკას.

მოწვევა: ახალგაზრდა და პრემენოპაუზალურ ასაკში მოწვევა ზრდის ს/ჯ-ის კიბოს განვითარების რისკს. გამოკვლევებმა აგრეთვე უჩვენა რომ პასიურ მწვევლებში ს/ჯ-ის კიბოს განვითარების რისკი იზრდება პოსტმენოპაუზალურ ასაკში.

სიმსივნური დაავადებების 10% განვითარებულია მემკვიდრული წინასწარგანწყობით, ანუ მუტაციით გენებში, რომლებიც არიან პასუხისმგებელი უჯრედული ციკლის სწორ მიმდინარეობაზე (მაგ. მუტაცია BRCA1/2). გენეტიკური ანალიზი მუტაციაზე რეკომენდებულია თუკი პაციენტს აქვს პირადი ან ოჯახური ანამნეზი, რომელიც მეტყველებს სიმსივნური დაავადების შესაძლო მემკვიდრულ განწყობაზე. მაგალითისთვის, BRCA1 და BRCA2 ის გენეტიკური ანალიზი ტარდება იმ შემთხვევაში თუკი პაციენტს აქვს საკვერცხის და/ან სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის ოჯახური ანამნეზი (პირველი და მეორე რიგის ნათესავი), თუკი ოჯახის წევრები არიან BRCA1 და BRCA2 მუტაციის მტარებლები, სიმსივნის დიაგნოსტიკის ახალგაზრდა ასაკი.

რისკ -ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია ადამიანთა მიკუთვნება მაღალი, საშუალო და დაბალი რისკ ჯგუფებისათვის. მათი დაყოფის არსი, ზოგიერთ შემთხვევაში, სკრინინგის სხვადასხვა მეთოდის დამატებით გამოყენებასა და ინტენსივობის ცვლილებას განაპირობებს. მაგალითისთვის, თუ ქალბატონი BRCA1 და BRCA2 გენის მუტაციის მტარებელია, მაშინ სარძევე ჯირკვლის სკრინინგ მეთოდს, სარძევე ჯირკვლის მაგნიტო-რეზონანსული (MRI) გამოკვლევაც ემატება.

ძუძუს კიბოს სკრინინგ მეთოდებს მიეკუთვნება:

- თვითგასინჯვა

- კლინიკური გასინჯვა
- მამოგრაფია
- სარძევე ჯირკვლის ულტრასონოგრაფია
- სარძევე ჯირკვლის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა.

სარძევე ჯირკვლის სკრინინგი 40 წლის ასაკიდან იწყება, მაგრამ თუ ქალბატონს აქვს სარძევე ჯირკვლის და /ან საკვერცხის ავთვისებიანი სიმსივნის ოჯახური ანამნეზი ასეთ შემთხვევაში სკრინინგი იწყება 10 წლით ადრე, ვიდრე ოჯახის წევრის დიაგნოსტიკის ასაკია. სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგი გულისხმობს ყოველწლიურად გამოკვლევების ჩატარებას და მიღებული შედეგებით ონკოლოგის კონსულტაციას.

სარძევე ჯირკვლის MRI არ წარმოადგენს სკრინინგის რუტინულ ტესტს. ამ გამოკვლევის ჩატარების ჩვენებაა: ქალბატონი, რომელსაც აქვს BRCA1 და BRCA2 მუტაცია; რომელთა ოჯახის წევრი არის ამავე მუტაციის მტარებელი, მაგრამ თვითონ ჯერ არ აქვს ჩატარებული ტესტი მუტაციაზე; ქალბატონები, რომლებსაც 10-30 წლის ასაკში ჩატარებული აქვთ სხივური თერაპია სარძევე ჯირკვლის არეში;

1.13 სარძევე ჯირკვლის კიბოს მკურნალობის მეთოდები (და მათი ძირითადი გართულებები)

სარძევე ჯირკვლის კიბოს მკურნალობის მრავალი მეთოდი არსებობს, რომელიც დამოკიდებულია დაავადების ტიპსა და სტადიაზე.

ლოკალური (ადგილობრივი) მკურნალობა: არის მკურნალობის მეთოდი, რომელიც მხოლოდ სიმსინეზე მოქმედებს და სხეულის სხვა ნაწილებზე არ ახდენს გავლენას (164-167).

ლოკალური მკურნალობის ტიპებია:

- ქირურგია
- რადიაციული (სხივური) თერაპია

ასეთი ტიპის მკურნალობის მეთოდები უპირატესად გამოიყენება კიბოს ადრეულ სტადიაზე (ნაკლებ განვითარებული), თუმცა მათი გამოყენება შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც.

სისტემური მკურნალობა: სარძევე ჯირკვლის კიბოს სამკურნალო პრეპარატები შესაძლებელია პაციენტს მიეცეს პერორალურად, კანქვეშ ან ინტრავენურად. სისტემური ტიპის მკურნალობის დროს მედიკამენტი სხეულის ნებისმიერ ნაწილში არსებულ კიბოს უჯრედებზე მოქმედებს.

იმის მიხედვით თუ რა ტიპისაა კიბოს უჯრედები, შესაძლებელია ჩატარდეს:

- ქიმიოთერაპია
- ჰორმონალური (ენდოკრინული) თერაპია
- მიზნობრივი თერაპია

მრავალი პაციენტს შესაძლებელია მკურნალობის ერთზე მეტი მეთოდი ჩაუტარდეს.

ს/ჯ-ის ადრეული კიბოს ქირურგიული მკურნალობის შემდგომი საფეხურს წარმოადგენს მისი მართვა: რეციდივის რისკის შემცირება და დარჩენილი კიბოს

უჯრედების მოცილება. ეს უჯრედები უხილავია, თუმცა დადგენილია რომ მათ აქვთ კიბოს განვითარების ადგილობრივი და შორეული რეციდივის განვითარების უნარი.

ქირურგიული მკურნალობის შემდგომ თერაპიას ადიუვანტური თერაპია ეწოდება. ადიუვანტური თერაპია მოიცავს: რადიაციულ (სხივურ) თერაპიას, ქიმიოთერაპიას, მიზნობრივ და/ან ჰორმონალური თერაპიას. თუ რომელი ტიპის ადიუვანტური თერაპიის ჩატარებაა აუცილებელი, დამოკიდებულია კიბოს უჯრედების ტიპზე. მიუხედავად იმისა რომ ადიუვანტური თერაპია ამცირებს რეციდივის განვითარების რისკს, ის სრულად არ აღმოფხვრის მის რისკს.

ჰორმონალური თერაპია

ჰორმონალური (ანუ ენდოკრინული) თერაპია ეფექტურია ადრეული სტადიის და მეტასტაზირებული სარძევე ჯირკვლის კიბოს- ესტროგენ და პროგესტერონ რეცეპტორ პოზიტიურ უჯრედებზე. ჰორმონების ბლოკირებით ხდება რეციდივის პრევენცია (168-169).

ტამოქსიფენი:

ტამოქსიფენს (სელექტიური ესტროგენ რეცეპტორის მოდულატორი SERM) გააჩნია სხვადასხვა ქსოვილებში ესტროგენის ანტაგონისტის და აგონისტის კომპლექსური ფარმაკოლოგიური ეფექტი. სიმსივნურ ქსოვილში სარძევე ჯირკვლის კიბოს მქონე პაციენტებზე ტამოქსიფენი ძირითადად ანტიესტროგენულ ეფექტს ახდებს, ხელს უშლის ესტროგენის ესტროგენის რეცეპტორებთან დაკავშირებას, აქედან გამომდინარე ადგილი აქვს ესტროგენდამოკიდებულ ქსოვილებში უჯრედული პროლიფერაციის შემცირებას (170-172).

ტამოქსიფენი პერორალურად მისაღები მედიკამენტია.

ზოგადი გვერდითი რეაქციებიდან აღსანიშნავია: ალბი, ვაგინალური სიმშრალე, საშვილოსნოდან გამონადენი ან სისხლდენა, იშვიათად კატარაქტა, ჰიპერკოაგულაცია. ტამოქსიფენმა შესაძლებელია დადებითად იმოქმედოს ძვალზე

და ქოლესტერინის დონეზე. მედიკამენტი ეფექტურად გამოიყენება ორივე: პრე და პოსტმენოპაუზაში.

არომატაზას ინჰიბიტორები:

პოსტმენოპაუზის პერიოდში, როდესაც საკვერცხეების მიერ ესტროგენების სეკრეცია შეწყვეტილია, ფერმენტ არომატაზას მიერ ესტროგენების წარმოქმნა ხდება ანდროგენებიდან. არომატაზას ინჰიბიტორი არის მედიკამენტი რომელიც ბლოკავს ფერმენტ არომატაზას (173). ეს მედიკამენტებია: ანასტროზოლი (არიმიდექსი), ლეტროზოლი (ფემარა) და ექსემესტანი (არომაზინი) (174-179). ყველა ტიპის არომატაზას ინჰიბიტორები პერორალურად მისაღები მედიკამენტია. რეციდივის რისკის განვითარების მხრივ პოსტმენოპაუზაში ზემოთაღნიშნული ჯგუფის პრეპარატით ცალკე ან ტამოქსიფენთან კომბინაციაში მკურნალობა ბევრად ეფექტურია ვიდრე მხოლოდ ტამოქსიფენით მკურნალობა. არომატაზას ინჰიბიტორები ეფექტურია აგრეთვე ესტროგენ პოზიტიტიური მეტასტაზირებული ს.ჯ-ის კიბოს დროს (180-186).

გვერდითი ეფექტებიდან აღსანიშნავია: კუნთოვანი და სახსროვანი ტკივილი, ალბი, ვაგინალური სიმშრალე, ოსტეოპოროზის განვითარების რისკი, მოტეხილობა, ქოლესტერინის მატება სისხლში. ქალები რომლებიც არ იმყოფებიან მენოპაუზაში არომატაზას ინჰიბიტორის მიღება დაუშვებელია, რადგან პრეპარატი ვერ ბლოკავს (თრგუნავს) საკვერცხეების მიერ გამოშვებულ ესტროგენებს. არომატაზას ინჰიბიტორის დანიშნამდე რეკომენდებულია სისხლში ესტროგენების დონის შემოწმება, რათა დადასტურდეს საკვერცხეების მიერ ესტროგენების პროდუქციის არსებობა (187-188).

არსებობს მკურნალობის რამდენიმე ვარიანტი ქალებისთვის, რომლებიც მენოპაუზაში იმყოფებიან:

- მკურნალობის დაწყება არომატაზას ინჰიბიტორებით რომელიც 5 წლამდე გრძელდება

- მკურნალობის დაწყება ტამოქსიფენით 2-3 წლის განმავლობაში და შემდგომ არომატაზას ინჰიბიტორებზე გადასვლა რომელიც ასევე 2-3 წლამდე გაგრძელდება.
- ან ტამოქსიფენი 5 წლის განმ-ში და შემდგომ 5 წელი არომატაზას ინჰიბიტორები.

მიმდინარე კვლევებმა აჩვენა, რომ ადრეული სტადიის ს/ჯ-ის კიბოს დროს 10 წლიანი ტამოქსიფენით მკურნალობამ შესაძლებელია მკვეთრად შეამციროს რეციდივის რისკი, თუმცა მედიკამენტით გამოწვეული გვერდითი ეფექტების გამოვლენის შანსებიც იზრდება.

ჰორმონალური თერაპია პრემენოპაუზაში მყოფ ქალებში

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პრემენოპაუზაში მყოფი ქალებისთვის არომატაზას ინჰიბიტორების დანიშვნა უეფექტოა.

ადიუვანტური ჰორმონალური თერაპიის ვარიანტები რომლებიც გამოყენებულ შეიძლება იქნას პრემენოპაუზაში:

- 5 ან 5-ზე მეტი წლის განმ-ში ტამოქსიფენი, მენოპაუზის დადგომის შემდგომ არომატაზას ინჰიბიტორების (აი) ჩართვა მკურნალობის სქემაში.
- საკვერცხეების ფუნქციის სუპრესიის შემდგომ ტამოქსიფენი ან /და ტამოქსიფენი აი -ებთან კომბინაციაში.

ყველაზე ძველი ჰორმონალური თერაპიის მეთოდი ჰორმონ რეცეპტორ პოზიტიური ს/ჯ-ის კიბოს დროს არის საკვერცხეების სუპრესია, რათა დაითრგუნოს საკვერცხეების მიერ ესტროგენების სეკრეცია (189).

საკვერცხეების სუპრესიისთვის გამოიყენება გონადოტროპინ რილიზინგ ან მალუთენინიზირებელი ჰორმონის ანალოგები (იწვევენ დროებით მენოპაუზას).

გოზერელინი (ზოლადექსი) და ლეუპროლიდი (ლეუპრონი) -მედიკამენტები რომლებიც თვეში ერთხელ ან 3 თვეში ერთხელ კანქვეშა ინექციის გზით გამოიყენება, ქალებში ბლოკავენ საკვერცხეების მიერ ესტროგენების სეკრეციას 1 ან 3 თვის განმ-ში (190). ამ ჯგუფის მედიკამენტები უფრო ხშირად მიეცემა ტამოქსიფენტთან და აი-ებთან ერთად, იშვიათად მონოთერაპიის სახით.

საკვერცხეების მთლიანად გათიშვის მიზნით გარკვეულ შემთხვევებში მიმართავენ ოვარიექტომიას. საკვერცხეების სუპრესია ან აბლაცია (ტამოქსიფენტთან კომბინაციაში) გამოიყენება პრემენოპაუზაში მყოფ ქალებში.

ჰორმონალური თერაპია მეტასტაზური სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს

ჰორმონალური თერაპია აგრეთვე საკმად ეფექტურია მეტასტაზირებული ს/ჯ-ის კიბოს დროს:

- ტამოქსიფენი
- საკვერცხის სუპრესია
- არომატაზას ინჰიბიტორები
- ფულვესტანტი (ფასლოდექსი) არის სელექტიური ესტროგენ რეცეპტორის ღონის დაწვევის რეგულატორი (SERD). სხვა ჰორმონალური თერაპიისგან განსხვავებით ფულვესტრანტი კეთდება ინტრამუსკულარულად თვეში ერთხელ. ხშირად მიეცემა შემდეგი სქემით: 2 კვირაში ერთხელ - 2 ინექცია (განმეორდეს 3 - ჯერ), შემდეგ გრძელდება თვეში ერთჯერადი ინექციით. რეკომენდებულია ფულვესტრანტის კომბინაცია პალბოციკლიბ-თან (იბრანსი) ან აი-ებთან.

სარძევე ჯირკვლის მკურნალობის შემდგომი გართულებები

სარძევე ჯირკვლის მკურნალობამ შესაძლებელია გამოიწვიოს გართულებები და გვერდითი ეფექტები, რომელიც დამოკიდებულია მკურნალობის ტიპსა და მედიკამენტზე (191-209).

ქიმიოთერაპიის ყველაზე ხშირ გართულებებია: საერთო სისუსტე, გულისრევა, ღებინება, თავბრუსხვევა, თმის ცვენა, სისხლის და ლიმფური სისტემის მხრივ: ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია. ადგილობრივი სისხლჩაქცევები (სილურჯე), ინფექციებისადმი მიდრეკილება, ხასიათის ცვლილებები: დეპრესია, შიშები, უხასიათობა(210-212).

მენოპაუზაში მყოფ ქალებში ქიმიოთერაპია იწვევს საკვერცხეების ფუნქციის გათიშვას და ესტროგენების სეკრეციის დათრგუნვას, რაც ოსტეოპოროზის განვითარების ერთ-ერთ რისკ ფაქტორს წარმოადგენს. მენოპაუზისთვის დამახასიათებელ ვაგინალურ სიმშრალეს და ალებს .

რადიაციული (სხივური) თერაპიის გართულებებია: შეშუპება და სიმძიმის შემძრება სარძევე ჯირკვლის არეში, კანის ცვლილებები დამიზნებულ არეში, ადვილად დაღლა

ზოგჯერ შესაძლებელია გამოიწვიოს: ბრაქიალური პლექსოპათია, ტკივილი და სისუსტე ზემო კიდურის არეში.

- სხივური თერაპიის შემდგომ ხშირია ლაქტაციის პრობლემები.
- იდლიის არეში დასხივებამ აგრეთვე შესაძლოა გამოიწვიოს ლიმფედემა, ტკივილი და შეშუპება ხელსა და გულმკერდის არეში; ნეკნების სიმყიფე და მოტეხილობა, წარსულში ხშირად ზიანდებოდა ფილტვის და გულის ნაწილი გულმკერდის არეში სხივური თერაპიის გამო, თუმცა უკანასკნელი თანამედროვე აღჭურვილობის მეშვეობით მსგავსი პრობლემები აღარ გვხვდება.
- სხივური თერაპიის უიშვიათეს გართულებას წარმოადგენს სხვა ტიპის კიბოს-ანგიოსარკომის წარმოქმნა, რომელიც სწრაფად მზარდი და გავრცელებადი დაავადებაა.

ქირურგიული მკურნალობის მასტექტომიის შემდგომი გართულებებია:

- ს/ჯ-ის არეში შეშუპება, ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება ნაწიბურის არეში
- ინფექცია ან სისხლდენა
- ლიმფედება (ლიმფური კვანძების ამოკვეთის გამო)

ჰორმონალური თერაპიის გართულებები

ტამოქსიფენის გვერდით ეფექტებს მიეკუთვნება: ალუბი; ვაგინალური გამონადენი, მენტრუალური ციკლის დარღვევა, თმის ცვენა, კანის ცვლილება, ფერტილობის დარღვევა, მუხსიერების დარღვევა, ადვილად დაღლა, სახსროვანი ტკივილი, თავის ტკივილი, ძილის დარღვევები, ჭარბოფლიანობა, გულისრევა, წონის ცვლილება, ხასიათის ცვლილება (213).

არომატაზას ინჰიბიტორების გვერდითი ეფექტები- ყველაზე ხშირ გვერდით ეფექტს წარმოადგენს მენოპაუზის სიმპტომები, როგორცაა ალუბი, ოფლიანობის მატება და ვაგინალური სიმშრალე. ამ ჯგუფის პრეპარატებისთვის დამახასიათებელია კუნთოვანი და სახსროვანი ტკივილები. ტამოქსიფენის და რალოქსიფენისგან განსხვავებით იწვევენ ძვლის გამოფიტვას, რაც შემდგომში იწვევს ოსტეოპოროზი განვითარებას და ძვლების მოტეხილობას (214-218).

საკვერცხეების სუპრესიის გვერდითი ეფექტები: მენოპაუზის სიმპტომები, ალუბი, წონაში მატება და ძვლების ტკივილი.

თავი 2 კვლევა

2.1 კვლევის მასალა და მეთოდები

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოკვლეულ იქნა 156 პოსტმენოპაუზაში მყოფი ქალი, რომელიც დავყავით 3 ძირითად ჯგუფად.

I საკვლევ ჯგუფში გაერთიანდა 60 პაციენტი ჰორმონ პოზიტიური სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოზით, რომლებიც იღებდნენ არომატაზას ინჰიბიტორს – ანასტროზოლს ან ლეტროზოლს (ამ მკურნალობამდე პაციენტებს სხვა დეპრივაციული ან ქიმიოთერაპიული აგენტი არ მიეცემოდათ).

II საკვლევ ჯგუფში მყოფი 58 პაციენტი ჰორმონ პოზიტიური სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოზით იღებდა სელექტიურ ესტროგენ რეცეპტორის მოდულატორს-ტამოქსიფენს (ამ მკურნალობამდე პაციენტებს სხვა დეპრივაციული ან ქიმიოთერაპიული აგენტი არ მიეცემოდათ).

I და II ჯგუფის პაციენტებს ჰორმონალური აღიუვანტური თერაპიის დაწყებამდე ჩატარებული ჰქონდათ მასტექტომია.

III საკონტროლო ჯგუფი წარმოდგენილი იყო 38 პაციენტით. სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტები, რომელთაც მასტექტომიის შემდგომ არ უტარებოდათ აღიუვანტური თერაპია, რადგან სიმსივნური ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიურმა კვლევამ არ დაადასტურა სიმსივნის ჰორმონდამოკიდებულება.

გამორიცხვის კრიტერიუმს წარმოადგენდა მკურნალობის დაწყებამდე ოსტეოპოროზის არსებობა ($T\text{-score} < -2.5$).

თითოეული ჯგუფი თავის მხრივ დაიყო ორ ქვე-ჯგუფად:

- პაციენტები, რომელთაც ბოლო მენსტრუალური პერიოდი აღენიშნებოდათ 3 წელზე მეტი ხანგრძლივობით
და
- პაციენტები, რომელთაც ბოლო მენსტრუალური პერიოდი აღენიშნებოდათ 3 წელზე ნაკლები ხანგრძლივობით

აღსანიშნავია ისიც რომ, კვლევაში ჩართული არცერთი პაციენტი არ იღებდა ანტირეზორბციულ მკურნალობას. ზოგიერთ მათგანს მიეცემოდათ კალციუმის კარბონატი არათანაბარი კომპლავენტობით, რაც გულისხმობდა იმას, რომ კვებითი დანამატის სახით საშუალოდ იღებდნენ ელემენტური კალციუმის 400-500 მგ-ს.

ყველა ჯგუფში წელის მალეების და ბარძაყის ყელის ძვლის მინერალური სიმკვრივე შეფასდა ჰორმონალური მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალობიდან 1; 2 და 5 წელში ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრიის საშუალებით.

2.2 კვლევის ეთიკური ასპექტები

კვლევის ჩატარებაზე თანხმობა მოგვცა “ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტ“-თან არსებულმა ეთიკურმა კომისიამ, გაითვალისწინა რა კვლევის დიზაინის შესაბამისობა მედიცინაში კლინიკური კვლევების ეთიკური სტანდარტების შესახებ ჰელსინკის დეკლარაციასთან (1977) მიმართებაში.

2.3 მიღებული შედეგები

პაციენტების საშუალო ასაკი იყო 56 წელი.

მკურნალობამდე I საკვლევი ჯგუფის (არომატაზას ინჰიბიტორზე მყოფი პაციენტები) პაციენტების 58% -ს და II საკვლევი ჯგუფის (ტამოქსიფენზე მყოფი პაციენტები) 22%-ს აღენიშნა ოსტეოპენია წელის მალეებში ($P < 0.0001$) ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპენიის ტიპით ასევე დაფიქსირდა ბარძაყის ყელში - I საკვლევი ჯგუფში 28% და II საკვლევი ჯგუფში 10% ($P < 0.0001$).

III საკონტროლო (მედიკამენტის გარეშე მყოფი პაციენტები) ჯგუფის პაციენტებში მკურნალობამდე არ აღენიშნათ დაქვეითებული ძმს-ს მაჩვენებლები ($P < 0.0001$).

2.3.1 ძმს-ის ცვლილება საკვლევი ჯგუფების მიხედვით ჰორმონალური (ადიუვანტური) მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალობიდან 1; 2 და 5 წელში

I საკვლევი ჯგუფში ჩაერთო 49 წლიდან 74 წლამდე ასაკის პოსტმენოპაუზაში მყოფი 60 ქალი (საშუალო ასაკი 61 წელი).

ყველა პაციენტი ქირურგიული მკურნალობის შემდგომ იღებდა არომატაზას ინჰიბიტორს (ანასტროზოლს ან ლეტროზოლს) 5 წლის განმავლობაში.

I საკვლევი ჯგუფი თავის მხრივ დაყო 2 ქვეჯგუფად:

1. პაციენტები, 3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდით, რომელთა რაოდენობამაც შეადგინა საკვლევი ჯგუფის 77% (46 პაციენტი)
2. პაციენტები, 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდით, რომელთა რაოდენობამაც შეადგინა საკვლევი ჯგუფის 23% (14 პაციენტი)

I საკვლევი ჯგუფი მენოპაუზის ხანგრძლივობის მიხედვით	რაოდენობა	პროცენტი
3 წელზე მეტი	46	77%
3 წელზე ნაკლები	14	23%
ჯამი	60	100%

DXA ჩატარდა ჰორმონალური (ადიუვანტური) მკურნალობის დაწყებამდე, 1 ; 2 და 5 წლის შემდეგ.

მიღებული შედეგები:

L1-L4 მალეებში ძმს-ს ცვლილება :

- მკურნალობის დაწყებამდე 60 პაციენტიდან 25 პაციენტს (41,7 %) აღენიშნა ნორმალური ძმს და 35 პაციენტს (58,3 %) ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპენიის ტიპით წელის მალეებში (L1-L4).

ავტორის სტილი დაცულია

- მკურნალობის დაწყებიდან 1 წელში ნორმალური ძმს-ს მაჩვენებელი კვლავ დაფიქსირდა 25 პაციენტში, ხოლო 35 ოსტეოპენიის მქონე პაციენტიდან 1 პაციენტს აღენიშნა ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპოროზის ტიპით
- მკურნალობის დაწყებიდან 2 წელში შედეგები კვლავ იგივე დარჩა როგორც 1 წელში დაფიქსირდა.
- ხოლო მკურნალობის დაწყებიდან მე-5 წელს 35 ოსტეოპენიის მქონე 2 პაციენტს დაუფიქსირდა ჯამში ოსტეოპოროზის დიაგნოზი. ნორმალური ძმს-ს მაჩვენებელი კვლავ 25 პაციენტში შენარჩუნდა (ცხრილი 8)

ცხრილი 8

L1-L4	მკურნალობის პერიოდი							
	მკურნალობამდე		მკურნალობის დაწყებიდან 1 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 2 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 5 წელში	
ძმს-ს მაჩვენებელი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი
Tscore - 1 მდე	25	41.7	25	41.7	25	41.7	25	41.7
Tscore -1 დან -2.5	35	58.3	34	56.7	34	56.7	33	55.0
Tscore < -2.5	0	0	1	1.7	1	1.7	2	3.3
ჯამი	60	100	60	100	60	100	60	100

ძმს-ს ცვლილება ბარძაყის ყელში:

- მკურნალობის დაწყებამდე 60 პაციენტიდან 43 პაციენტს (71,7 %) აღენიშნა ნორმალური ძმს და 17 პაციენტს (28.3 %) ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპენიის ტიპით ბარძაყის ყელში.
- მკურნალობის დაწყებიდან 1; 2 და 5 წელში ნორმალური ძმს-ს მაჩვენებელი კვლავ დაფიქსირდა 43 პაციენტში, ხოლო 17 პაციენტს აღენიშნა ძმს-ს დაქვეითება კვლავ ოსტეოპენიის ტიპით (ცხრილი 9).

Total Hip	მკურნალობის პერიოდი							
	მკურნალობამდე		მკურნალობის დაწყებიდან 1 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 2 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 5 წელში	
მმს-ს მაჩვენებელი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი
Tscore - 1 მდე	43	71.7	43	71.7	43	71.7	43	71.7
Tscore -1 დან -2.5	17	28.3	17	28.3	17	28.3	17	28.3
Tscore < -2.5	0	0	0	0	0	0	0	0
ჯამი	60	100	60	100	60	100	60	100

II საკვლევი ჯგუფში ჩაერთო 46 წლიდან 60 წლამდე ასაკის პოსტმენოპაუზაში მყოფი 58 ქალი (საშუალო ასაკი 53).

ყველა პაციენტი ქირურგიული მკურნალობის შემდგომ იღებდა სელექტიური ესტოგენის რეცეპტორის მოდულატორს -ტამოქსიფენს

II საკვლევი ჯგუფი თავის მხრივ დაყო 2 ქვეჯგუფად:

1. პაციენტები, 3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდით, რომელთა რაოდენობამაც შეადგინა საკვლევი ჯგუფის 27.6 % (16 პაციენტი)
2. პაციენტები, 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდით, რომელთა რაოდენობამაც შეადგინა საკვლევი ჯგუფის 72.4 % (42 პაციენტი)

II საკვლევი ჯგუფი მანოპაუზის ხანგრძლივობის მიხედვით	რაოდენობა	პროცენტი
3 წელზე მეტი	16	27.6
3 წელზე ნაკლები	42	72.4
ჯამი	58	100

L1-L4 მალეში ძმს-ს ცვლილება :

- მკურნალობის დაწყებამდე 58 პაციენტიდან 45 პაციენტს (77,6 %) აღენიშნა ნორმალური ძმს და 13 პაციენტს (22.4 %) ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპენიის ტიპით წელის მალეში (L1-L4)
- მკურნალობის დაწყებიდან 1 ; 2 და 5 წლებში ნორმალური ძმს-ს მაჩვენებელი კვლავ დაფიქსირდა იმავე რაოდენობის პაციენტში (45) და ოსტეოპენიის ტიპით ძმს-ს დაქვეითება იგივე რაოდენობის ანუ 13 პაციენტში (ცხრილი 10).

ცხრილი 10

L1-L4	მკურნალობის პერიოდი							
	მკურნალობამდე		მკურნალობის დაწყებიდან 1 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 2 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 5 წელში	
ძმს-ს მაჩვენებელი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი
Tscore - 1 მდე	45	77.6	45	77.6	45	77.6	45	77.6
Tscore -1 დან -2.5	13	22.4	13	22.4	13	22.4	13	22.4
Tscore < -2.5	0	0	0	0	0	0	0	0
ჯამი	58	100	58	100	58	100	58	100

ბარძაყის ყელში ძმს-ს ცვლილება:

- მკურნალობის დაწყებამდე 58 პაციენტიდან 52 პაციენტს (89.7 %) აღენიშნა ნორმალური ძმს და 6 პაციენტს (10.3 %) ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპენიის ტიპით ბარძაყის ყელის დონეზე
- მკურნალობის დაწყებიდან 1 ; 2 და 5 წლებში ნორმალური ძმს-ს მაჩვენებელი კვლავ დაფიქსირდა იმავე რაოდენობის პაციენტში (52), და ოსტეოპენიის ტიპით ძმს-ს დაქვეითება იგივე რაოდენობის ანუ 6 პაციენტში (ცხრილი 11).

Total Hip	მკურნალობის პერიოდი							
	მკურნალობამდე		მკურნალობის დაწყებიდან 1 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 2 წელში		მკურნალობის დაწყებიდან 5 წელში	
ძმს-ს მაჩვენებელი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი	პაციენტების რაოდენობა	პროცენტი
Tscore - 1 მდე	52	89.7	52	89.7	52	89.7	52	89.7
Tscore -1 დან -2.5	6	10.3	6	10.3	6	10.3	6	10.3
Tscore < -2.5	0	0	0	0	0	0	0	0
ჯამი	58	100	58	100	58	100	58	100

III საკონტროლო ჯგუფში ჩაერთო 49 წლიდან 62 წლამდე ასაკის პოსტმენოპაუზაში მყოფი 38 ქალი (საშუალო ასაკი 54). (რომელთაც სარძევე ჯირკვლის ჰორმონპოზიტიური კიბოს დიაგნოზი არ დაუდასტურდათ).

პაციენტების ეს ჯგუფი ქირურგიული მკურნალობის შემდგომ არ იღებდა მედიკამენტოზურ მკურნალობას და იმყოფებოდნენ პერიოდული მეთვალყურეობის ქვეშ (მამოგრაფია, ექოსკოპია, ონკო მარკერების და ონკოლოგის კონსულტაცია)

საკონტროლო ჯგუფი თავის მხრივ დაიყო 2 ქვეჯგუფად:

1. პაციენტები, 3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდით, რომელთა რაოდენობაა შეადგინა საკვლევი ჯგუფის 27.6 % (16 პაციენტი)
2. პაციენტები, 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდით, რომელთა რაოდენობაა შეადგინა საკვლევი ჯგუფის 72.4 % (42 პაციენტი)

III საკონტროლო ჯგუფი მანოპაუზის ხანგრძლივობის მიხედვით	რაოდენობა	პროცენტი
3 წელზე მეტი	16	42.1
3 წელზე ნაკლები	22	57.9
ჯამი	38	100.0

DXA გამოკვლევით საკონტროლო ჯგუფში მყოფ ყველა პაციენტს ქირურგიული მკურნალობის შემდგომ აღენიშნებოდათ ნორმალური ძმს-ის მაჩვენებელი წელის მალეხსა და ბარძაყის ყელში.

ძმს-ის ნორმალური მაჩვენებელი შენარჩუნდა აგრეთვე დაკვირვების პერიოდის 1; 2 და 5 წელზეც.

ძმს-ს პროცენტული ცვლილება საკვლევი ჯგუფების მიხედვით მკურნალობამდე, 1 ; 2 და 5 წელში მენოპაუზის ხანგრძლივობის მიხედვით

I საკვლევი ჯგუფში (არომატაზას ინჰიბიტორის - ანასტროზოლის ან ლეტროზოლის ჯგუფი) მკურნალობის დაწყებიდან 5 წლის შემდეგ აღინიშნა ძმს-ს დაქვეითება წელის ძალებში (3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში – 5.22%-ით ($P = 0.01$) და 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში – 10.08%-ით- ($P = 0.01$) და ბარძაყის ყელში (3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში – 6.52 %-ით ($P = 0.03$) და 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში – 6.10 %-ით ($P = 0.05$) ტამოქსიფენის ჯგუფთან შედარებით.

მეორე საკვლევი ჯგუფში (ტამოქსიფენის ჯგუფი) მკურნალობის დაწყებიდან 5 წლის შემდეგ აღინიშნა ძმს-ს მატება წელის ძალებში (3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +2.62%-ით ($P = 0.03$) და 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +3.54%-ით ($P = 0.01$) და ბარძაყის ყელში (3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +0.03%-ით ($P = 0.05$) და 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +2.03%-ით ($P = 0.01$).


მესამე (ანუ საკონტროლო) ჯგუფში მკურნალობის დაწყებიდან 5 წლის შემდეგ აღინიშნა ძმს-ს მატება წელის ძალებში (3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +1.29%-ით ($P = 0.05$) და 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +1.14%-ით) ($P = 0.05$) და ბარძაყის ყელში (3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +2.31%-ით ($P = 0.05$) და 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუაციის პერიოდის მქონე პაციენტებში +0.90%-ით ($P = 0.05$) . (ცხრილი 12; დიაგრამა 2)

არცერთ პაციენტს, რომელსაც მკურნალობამდე აღენიშნათ ძვლის მინერალური სიმკვრივის ნორმალური მაჩვენებელი, 5 წლიანი პორმონალური თერაპიის ფონზე არ დაუფიქსირდათ ოსტეოპოროზი.

ცხრილი 12

წელის მალეხსა და ბარძაყის ყელში პროცენტული ცვლილება ბოლო მენსტრუაციის პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით					
	საკვლევი ჯგუფი	პაციენტების რაოდენობა	% ცვლილება მკურნალობის დაწყებიდან		
			1 წელი	2 წელი	5 წელი
წელის მალეხი	არომატაზას ინჰიბიტორის ჯგუფი (>3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	46	-1,61%	-3,02%	-5,22%
	არომატაზას ინჰიბიტორის ჯგუფი (<3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	14	-5,01%	-6,32%	-10,08%
	ტამოქსიფენის ჯგუფი (>3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	16	+0,87%	+2,03%	+2,62%
	ტამოქსიფენის ჯგუფი (< 3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	42	+2,01%	+2,87%	+3,54%
	საკონტროლო ჯგუფი (>3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	16	-0,88%	+0,09%	+1,29%
	საკონტროლო ჯგუფი (<3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	22	-0,96%	+0,04%	+1,14%
ბარძაყის ყელი	არომატაზას ინჰიბიტორის ჯგუფი (>3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	46	-1,25%	-3,27%	-6,52%
	არომატაზას ინჰიბიტორის ჯგუფი (<3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	14	-2,20%	-3,27%	-6,10%
	ტამოქსიფენის ჯგუფი (>3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	16	+0,71%	+1,03%	+0,03%
	ტამოქსიფენის ჯგუფი (< 3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	42	+0,72%	+1,69%	+2,03%
	საკონტროლო ჯგუფი (>3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	16	+0,27%	+0,68%	+2,31%
	საკონტროლო ჯგუფი (<3 წელი ბოლო მენსტრუაციის პერიოდიდან)	22	+0,14%	+0,02%	+0,90%

*საკონტროლო ჯგუფში მყოფი პაციენტები ქირურგიული მკურნალობის შემდგომ მედიკამენტოზურ მკურნალობას არ იღებდნენ



დიაგრამა 2

ძვლის მინერალური სიმკვრივის პროცენტული ცვლილება 1, 2 და 5 წელში

A. წელის მალეში ცვლილება წლების მიხედვით

B. ბარძაყის ყელში ცვლილება წლების მიხედვით

თავი 3. მიღებული შედეგების განხილვა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის დასრულებისას დაფიქსირდა ძმს-ს მნიშვნელოვანი დაქვეითება არომატაზას ინჰიბიტორით მკურნალობის მქონე პაციენტებში, სელექტიური ესტროგენის რეცეპტორის მოდულატორით ნამკურნალებ პაციენტებთან შედარებით. ძმს-ს მკვეთრი დაქვეითება აღინიშნა წელის მალეებში ჰორმონალური მკურნალობის დაწყებიდან 2 წელში, ვიდრე 2 დან 5 წლამდე (უპირატესად ტრაბეკულურ ძვალში ვიდრე კორტიკალურში).

ცნობილია რომ ძვლის დანაკარგი მკვეთრადაა გამოხატული გვიანი პერიმენოპაუზის და პოსტმენოპაუზის პირველ წლებში.

ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ რომ, ძმს -ს დაქვეითება უფრო მკაფიო იყო არომატაზას ინჰიბიტორის ჯგუფში 1, 2 და 5 წელზე წელის მალეებში იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებოდათ 3 წელზე ნაკლები ბოლო მენსტრუალური პერიოდიდან (ვიდრე პაციენტებში 3 წელზე მეტი ბოლო მენსტრუალური პერიოდით).

სარძევე ჯირკვლის კიბოს მქონე პაციენტები, რომელთაც უტარდებოდათ ჰორმონალური მკურნალობა ტამოქსიფენით დაუფიქსირდათ ძმს-ს ე.წ. “დამცველობითი ეფექტი”, როგორც მოხსენიებულია ლიტერატურაში.

ამ ჯგუფის პაციენტებში ძმს-ს მატება უფრო მეტად გამოხატული იყო <3 წელი ბმპ-ის ქალებში. საკონტროლო ჯგუფში მყოფ პაციენტებში აღინიშნა ძმს-ს უმნიშვნელო ცვლილება წელის მალეებსა და ბარძაყის ყელში.

კვლევის მიღებულმა შედეგებმა აჩვენა რომ, სამივე ჯგუფის პაციენტები რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე ჰქონდათ ნორმალური ძმს არ აღენიშნათ ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპოროზის ტიპით მკურნალობის მე-5 წელზე. შედეგების მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ოსტეოპოროზის განვითარების რისკი 5 წლიანი ჰორმონალური თერაპიის დროს გამოვლინდება იმ პაციენტებში რომელთაც Tscore მკურნალობამდე ჰქონდათ -1,5 და ნაკლები.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰორმონალური მკურნალობის დაწყებამდე ოსტეოპენიის არ არსებობის შემთხვევაში არ არის აუცილებელი ანტიოსტეოპოროზული მკურნალობის დაწყება ადიუვანტური მკურნალობის

დაწყებისთანავე, ხოლო ოსტეოპენიის მქონე პაციენტებს (რისკ-ფაქტორების: ასაკის, ოჯახური ანამნეზის, თამბაქოს მოხმარების და თანმხლები მედიკამენტების, მაგ: კორტიკოსტეროიდების არსებობის შემთხვევაში), რომელთაც დაენიშნებათ არომატაზას ინჰიბიტორის მედიკამენტი, საჭიროებენ ძმს-ს რეგულარულ მონიტორინგს და ძვლის დამცველობითი სტრატეგიის შერჩევას.

მრავალი კლინიკური კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ ინტრავენური და პერორალური ბისფოსფონატების დანიშვნა ეფექტურია იმ პაციენტებში რომელთაც უტარდებათ აღიუვანტური (ჰორმონალური) თერაპია, რათა შენარჩუნდეს ძვლის მინერალური სიმკვრივის ნორმალური მაჩვენებლები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, არომატაზას ინჰიბიტორები ამცირებენ ესტროგენების დონეს 90%-ით, რაც თავის მხრივ იწვევს ძვლოვან დანაკარგს და მოტეხილობების რისკის მაღალ მაჩვენებელს.

საერთო ჯამში, კვლევის შედეგებიდან ირკვევა რომ სარძევე ჯირკვლის კიბოს მქონე პაციენტები, რომლებიც იმყოფებიან აღიუვანტურ (ჰორმონალურ) თერაპიაზე და იღებენ ანასტროლოზოლს ან ლეტროზოლს, იმყოფებიან ძმს-ს დაქვეითების განვითარების რისკ ჯგუფში.

ბევრი კვლევა ადასტურებს, რომ ანტირეზორბციული მკურნალობა ნაჩვენებია მხოლოდ იმ პაციენტებში, რომელთაც ჰორმონალურ თერაპიის დანიშვნამდე აღენიშნათ ძმს-ს დაქვეითება ოსტეოპოროზის ტიპით. თუმცა სხვა კვლევების რეკომენდაციით ძვლოვანი დანაკარგის კონტროლი ხორციელდება DXA კვლევით და ბისფოსფონატების დანიშვნით საჭიროების შემთხვევაში.

მე-13 ცხრილში მოცემულია U.S. Food and Drug Administration (FDA) -ის მიერ დამტკიცებული მედიკამენტების სია, რომლებიც გამოიყენება პოსტმენოპაუზალურ ასაკში ოსტეოპოროზის პრევენციისა და/ან მკურნალობისთვის.

ოთხ აგენტს (ალენდრონატი, რიზედრონატი, ზოლენდრონისმჟავა და დენოსუმაბი) გააჩნია დამტკიცებული “ფართო სპექტრის” ეფექტურობა და უნდა ჩაითვალოს ოსტეოპოროზის მკურნალობის დაწყების თავდაპირველ ვარიანტებად.

დაბალი და საშუალო მოტეხილობის რისკის მქონე პაციენტებისთვის (მაგ: ნაადრევი პოსტმენოპაუზალურ ქალებში ანამნეზში მოტეხილობის გარეშე და საშუალოდ დაბალი Tscore-ით) რეკომენდებულია პერორალური აგენტები. საინექციო აგენტები, როგორცაა ტერიპარატიდი, დენოსუმაბი ან ზოლენდრონის მუავა მიზანშეწონილია მოტეხილობის მაღალი რისკის მქონე პაციენტებისთვის (მაგ: ქალებს, რომელთაც ანამნეზში აღენიშნათ მრავლობითი ვერტებრული მოტეხილობები ან ბარძაყის ყელის მოტეხილობა, ან ძალიან დაბალი T-score), ასევე პაციენტებისთვის რომელთაც აღენიშნებათ გასტრო-ინტესტინალური პრობლემები და ორალური აგენტის ინტოლერაბელობა. წელის მალეების მოტეხილობის მაღალი რისკის მქონე პაციენტებისთვის (რომელთაც არ აქვთ არავერტებრული და ბარძაყის ყელის მომტეხილობის რისკი) მეტად რეკომენდებულია იბანდრონატი და რალოქსიფენი, და ასევე აღსანიშნავია რომ რალოქსიფენს აქვს “გვერდითი ბენეფიტი” რაც გამოვლინდება სარძევე ჯირკვლის კიბოს რისკის შემცირებაში.

თირკმლის უკმარისობის მქონე პაციენტებისთვის დენოსუმაბი არჩევის პრეპარატს წარმოადგენს, თუმცა დიალიზზე მყოფ პაციენტებში თირკმლის უკმარისობის მე-5 სტადიის დროს ჰიპოკალცემიის განვითარების მაღალი რისკის გამო ამ აგენტის დანიშვნა რეკომენდებული არ არის.

U.S. Food and Drug Administration (FDA) -ის მიერ დამტკიცებული მედიკამენტების სია, რომლებიც გამოიყენება პოსტმენოპაუზურ ასაკში ოსტეოპოროზის პრევენციისა და/ან მკურნალობისთვის		
პოსტმენოპაუზური ოსტეოპოროზი		
მედიკამენტი	პრევენცია	მკურნალობა
ალენდრონის მჟავა (ფოზამაქსი)	5 მგ პერორალურად დღეში ერთხელ 35 მგ პერორალურად კვირაში ერთხელ	10 მგ პერორალურად დღეში ერთხელ 70 მგ პერორალურად კვირაში ერთხელ 70 მგ + D3 ვიტამინი
კალციტონინი (მიაკალციკი)	—	200 IU ინტრანაზალურად დღეში ერთხელ, ან 100 IU კანქვეშ ყოველ მეორე დღეს
დენოსუმაბი (პროლია)	—	60 მგ კანქვეშ 6 თვეში ერთხელ
ესტროგენი	სხვადასხვა რეჟიმით	—
იბანდრონის მჟავა (ბონევივა, გენერიკული ფორმები)	2.5 მგ პერორალურად დღეში ერთხელ 150 მგ პერორალურად თვეში ერთხელ	2.5 მგ პერორალურად დღეში ერთხელ 150 მგ პერორალურად თვეში ერთხელ 3 მგ ინტრავენურად 3 თვეში ერთხელ
რალოქსიფენი (ევისტა)	60 მგ პერორალურად დღეში ერთხელ	60 მგ პერორალურად დღეში ერთხელ
რიზედრონის მჟავა (აკტონელი, ატელევია, გენერიკული ფორმები)	5 მგ პერორალურად დღეში ერთხელ 35 მგ პერორალურად კვირაში ერთხელ 150 მგ პერორალურად თვეში ერთხელ	5 პერორალურად დღეში ერთხელ 35 მგ პერორალურად კვირაში ერთხელ 150 მგ პერორალურად თვეში ერთხელ
ტერიპარატიდი (ფორტეო)	—	20 µg კანქვეშ დღეში ერთხელ
ზოლენდრონის მჟავა (აკლასტა, გენერიკული ფორმები)	5 მგ ინტრავენურად ყოველ მეორე წელს	5 მგ ინტრავენურად წელიწადში ერთხელ

დასკვნა

- 1) ადიუვანტური ჰორმონალური თერაპიის ერთ-ერთი ჯგუფი – არომატაზას ინჰიბიტორი წარმოადგენს ძვლის მინერალური სიმკვრივის დაქვეითებისა და დანაკარგის პროგრესირების რისკ ფაქტორს პოსტმენოპაუზაში მყოფ ქალებში
